ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ფილოსოფია / Philosophy

სამაგისტრო პროგრამა ფილოსოფიაში სტუდენტებს სთავაზობს სამ სასპეციალიზაციო მოდულს: 1. კულტურის ფილოსოფია/Philosophy of Culture, მოდულის ხელმძღვანელი პროფესორი აკაკი ყულიჯანიშვილი. 2. პოლიტიკის ფილოსოფია/Political Philosophy, მოდულის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი დემურ ჯალაღონია 3. ზნეობის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა/Moral Philosophy and Applied Ethics, მოდულის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოსოფიის მაგისტრი. ქვედარგი/სპეციალიზაცია: კულტურის ფილოსოფია/პოლიტიკის ფილოსოფია /ზნეობის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა. Master of Arts in Philosophy. Areas of Specialization: Philosophy of Culture /Political Philosophy/Moral Philosophy and Applied Ethics)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სამაგისტრო პროგრამა – მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სასპეციალიზაციო მოდულს სტუდენტი ირჩევს სწავლების II სემესტრიდან. პროგრამისთვის საერთო საგნები მოიცავს 30 ECTS კრედიტს. თითოეულ მოდულზე III-IV სემესტრში გათვალისწინებულია სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნები 30 ECTS კრედიტი, არჩევითი საგნები 30 ECTS კრედიტი. მაგისტრანტს შეუძლია არჩევითი საგნების აღება ნებისმიერი მოდულიდან. IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი დაეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი:

პროგრამა მიზანად ისახავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის ფილოსოფიის სპეციალისტების მომზადებას, რომელთა თეორიული, საკონსულტაციო და საექსპერტო, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს ქვეყნაში დემოკრატული ღირებულებების დამკვიდრებას. პროგრამის მიზანია თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალური აკულტურაციის პროცესების, მულტიკულტურული გარემოს, კულტურათშორის ინტენსიური ურთიერთობების გამომწვევი და მორალური ღირებულებათა გადაფასების გამომწვევი მიზეზების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური ცოდნის გადაცემა შემდეგი მიმართულებებით: კულტურის ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, ზნეობის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა. სამაგისტრო პროგრამის თითოეულ სასპეციალიზაციო მოდულში ექსისტენცის ტრანსცენდირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ონტოლოგიური მოდუსია წარმოდგენილი, რომელთა გათვალისწინების გარეშე ფილოსოფია ვერ შეძლებს საკუთარი მოწოდების რეალიზებას და სამყაროში ადამიანის ადგილის სრულფასოვან განსაზღვრას. პროგრამის ფარგლებში გაანალიზდება გლობალიზაციის ძირითადი მახასიათებლები, მოხდება თანამედროვე სამყაროში იდენტობის მნიშვნელობის გაცნობიერება. თვითმყოფადობის და მასზე სხვა კულტურების გავლენების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების გაცნობიერება; პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატურ და კრიტიკულ გააზრებას. ტრადიციული და თანამედროვე მეთოდოლოგიების

გამოყენებით განხორციელდება ქართული და დასავლური (ევროპული და ამერიკული) ფილოსოფიური აზრის კვლევა.
სამაგისტრო პროგრამა იმ ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესწავლაზეა ორიენტირებული, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ ვითარებაში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა.

I მოდულის მიზანი:
მოდული მიზნად ისახავს ხელოვნებასთან და ზოგადად კულტურასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხების სწავლებას. ამ ნიშნით განხორციელდება ამა თუ იმ მხატვრული მიმდინარეობის, კონცეფციის, კვლევითი სტრატეგიის, თანამედროვე კულტურული ვითარებისათვის დამახასიათებელი მოვლენების გააზრება.
კულტურის ფილოსოფიის სფეროს სწავლება მოწოდებულია ხელი შეუწყოს ადამიანის პიროვნულ ორიენტაციას თანამედროვე სამყაროში; გაარკვიოს იგი განსხვავებულ კულტურათა ,,ენებში'' და ჩამოუყალიბოს მათი გაგების უნარი, რომლის მეშვეობით მან უნდა შეძლოს შეიმუშავოს თვალსაზრისი კულტურათა და ხელოვნების სტილთა მრავალფეროვნების, მათი უნიკალობის და თვითღირებულების შესახებ; მოდული მიზნად ისახავს თანამედროვე საკაცობრიო ღირებულებებში ორიენტირებისა და კულტურათა დიალოგში მონაწილეობის უნარის გამომუშავებას.

II მოდულის მიზანი:
თანამედროვე მწვავე პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით დღის წესრიგში დგას ახალი ორიენტირების დაძებნა და მათი მიხედვით მოქმედებების, საშუალებების გამონახვა, ამ ვითარებების გათვალისწინებით პროგრამის მეორე მოდული მიზნად ისახავს პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროს შესწავლას. მოდულის კურიკულუმი იმგვარადაა აგებული, რომ სტუდენტმა შესძლოს სახელმწიფო მმართველობის, მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთი-ერთობათა პრობლემების კვლევა. ამ მიზნით მოდულის ფარგლებში გაანალიზებული იქნება არა მარტო პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემა და მათი კონცეპტუალიზაცია, არამედ სინამდვილე, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ ღირებულებებთან. პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში გაანალიზდება თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, წესრიგი და მათი რეალიზაციის რაგვარობა, ასევე დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებული პოლიტიკური ფილოსოფიის მიღწევები; მოდულის ფარგლებში განხორციელდება დემოკრატიის, ტოტალიტარიზმის და საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგადი ასპექტების კვლევა, პოლიტიზაციის გლობალურ პროცესთან ერთად პოლიტიკური სისტემების უძირითადესი შინაგანი წინააღმდეგობების ჩვენება, პოლიტიკური დისკურსის სივრცეში წარმოშობილი დილემების ანალიზი. ამასთან სტუდენტს საშუალება ექნება გაეცნოს პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარების ეტაპებს, სოკრატე-პლატონიდან დაწყებული დღემდე, პოლიტიკური ფილოსოფიის დამფუძნებლების და კლასიკოსების შრომებს, ძალაუფლების თანამედროვე ფილოსოფიურ თეორიებს, თანამედროვე ევროპული და ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებს, პოლიტიკური იდეოლოგიების ფილოსოფიურ საფუძვლებს, მოდერნის, პოსტმოდერნის და თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითად კონცეპტებს.

III მოდულის მიზანი:

მესამე მოდული მიზნად ისახავს ზნეობისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროს, მის ძირითად მიმართულებებს, პრობლემატიკისა და სააზროვნო ტრადიციების შესწავლას. მოდულის ფარგლებში მოხდება ეთიკური პრობლემების დილემური, დისკუსიური ხასიათის სწავლა და სწავლება; სტუდენტები შესწავლიან თუ როგორ ხდება ზნეობის ფილოსოფიის კრიტერიუმების ცნობიერების ამა თუ იმ ნაირსახეობის, მრწამსის და პრაქტიკის განმსაზღვრელ ფაქტორებად ჩამოყალიბება; ამ მიზნით თანამედროვე კულტურა გაანალიზდება ზნეობის ფილოსოფიის კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში. ხოლო თანამედროვე ეთიკური თეორიების ისტორიული საფუძვლების გახსნის გზით, განხორციელდება თანამედროვე ეთიკური დილემების არსთან მათი დაკავშირება; მოდული სტუდენტს საშუალებას მისცემს გაერკვეს თანამედროვე ზნეობრივი პროცესების არსებით ტენდენციებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. მოდულის ფარგლებში განხორციელდება: ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროს შესწავლა, მისი ძირითადი მიმართულებების, პრობლემატიკისა და სააზროვნო ტრადიციების ათვისება, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის საეტაპო კონცეპტების შესწავლა ანტიკური ფილოსოფიიდან მოყოლებული, ვიდრე თანამედროვე პოსტმოდერნისტული ფილოსოფიური მიმდინარეობების ჩათვლით, ეთიკურის გამოვლენის შესწავლა თანამედროვე სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პრობლემებისა და დილემების კონტექსტში.

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</u>:

ნებისმიერი მიმართულების/დარგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
ერთიანი სამაგისტრო გამოცდის და
შიდა შესარჩევი კონკურსის შედეგები.
შიდა შესარჩევი კონკურსი გულისხმობს:

- ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურებას გამოცდით, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით. (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ფილოსოფიაში.

საგამოცდო საკითხები განთავსდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ვებგვერდზე და გამოიკვრება ფილოსოფიის ინსტიტუტში თვალსაჩინო ადგილას. მისაღები გამოცდების საკითხები და ლიტერატურა იხ. დანართში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულმა იცის:

წამყვანი თეორეტიკოსების ნაშრომები,

კულტურისა და ზნეობის ფილოსოფიის, პოლიტიკური ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის ძირითადი თეორიები და პრინციპები,
ფილოსოფიური დისკურსების ფუნქციონირების თავისებურებები, მათი მსგავსება–განსხვავება, ფორმირებისა და განვითარების ისტორიულ–პოლიტიკური პირობები
ესთეტიკურის და ტრანსესთეტიკურის, მორალისა და პოლიტიკურის, ასევე კულტურის არტეფაქტები
განსხვავებულ კულტურათა ,,ენები''
პოლიტიკურ და მორალურ ღირებულებათა სისტემები და გაცნობიერებული აქვს მათი კონცეპტუალიზაცია.
აცნობიერებს თანამედროვე ფილოსოფიის ძირითად ტენდენციებსა და გამოწვევებს,
იცის ფილოსოფიური კვლევის თანამედროვე მეთოდები
კურსდამთავრებულს აქვს კულტურის ფილოსოფიის, გამოყენებითი ეთიკის, ზნეობისა და პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას ახალი იდეების შემუშავებისა და ცალკეული პრობლემის გადაჭრის საშუალებას მისცემს.
მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლსურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე და შეუძლია მისი გამოყენება სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მიზნებისთვის.

I მოდულის
კურსდამთავრებულმა იცის:
ანტიკური ესთეტიკის ჩამოყალიბების და განვითარების საფეხურები. პითაგორას, ჰერაკლიტეს, სოფისტების, პლატონის, არისტოტელეს ესთეტიკური შეხედულებები
მითოსური წარმოდგენების ტრანსფორმირება ფილოსოფიურ-ესთეტიკურ თეორიებად
რომანტიზმის ესთეტიკური თავისებურებები და მისი წარმოშობის სოციო–კულტურული ასპექტები, შელინგის, შლეგელის, ნოვალისის ესთეტიკური კონცეფციები
ყოფიერების და აზროვნების ესთეტიზაცია,
კლასიკური და პოსტმოდერნული ესთეტიკის საფუძვლები
თანამედროვე ესთეტიკის ძირითადი მახასიათებლები, კლასიკური ესთეტიკური დისკურსი, ფრანკფურტის ფილოსოფიური სკოლა ე.წ. კრიტიკული თეორია, აცნობიერებს მარკუზეს, ადორნოს, ჰორკჰაიმერის კულტუროლოგიური კონცეფციების მნიშვნელობას თანამედროვე ევროპული კულტურის ჩამოყალიბებაში
ფენომენოლოგიური მიმდინარეობის მნიშვნელოვან წარმომადგენელთა: ჰუსერლის, გაიგერის, ნ. ჰარტმანის, ინგარდენის კონცეპციები,
ღირებულებათა თეორიის ძირითადი წარმომნადგენლების ლოტცე, ნიცშე, მიუნსტენბერგი, შელერი, რიკერტი ჰაიდეგერი თვალსაზრისები
კულტურის თანამედროვე ტრანსფორმაციების საფუძვლები და კულტურის უახლესი კონცეფციები, კულტურის არტეფაქტების შემეცნების თავისებურებები: ახსნა-განმარტება, ინტერპრეტაცია გაგება
პოსტმოდერნული კულტურის ძირითადი მახასიათებლები
ჰერმენევტიკული მეთოდების ტექნიკა
ე.წ. სტუდენტური მოძრაობა და კრიტიკული თეორია, როგორც სტუდენტთა იდეოლოგიური საფუძვლის გაცნობიერება.
ხელოვნების ქმნილების ფენომენალური და ესთეტიკური ანალიზის ტექნიკები,

აცნობიერებს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების კრიტერიუმების საფუძვლებს, მხატვრული ფორმის და შინაარსის შემადგენლობის გამოყოფისა და მათი სინთეზირების საფუძვლებს

იცის კულტურის არსის, მისი სტრუქტურის, მორფოლოგიის, კულტურასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები, კულტურათა მრავალ ფეროვნების, მათი უნიკალურობის და თვითმყოფადობის, კულტურათა დიალოგურობის, კულტურის შესწავლის და გაგების სხვა-დასხვა მეთოდების ტექნიკა, აცნობიერებს მისი გაგებისათვის ღირებულების ცნების მნიშვნელობას.

ძალაუფლების თანამედროვე თეორიებში კულტურის როგორც ძალაუფლების ბრძოლის არე-ალში განხორციელებული ტრანსფორმაციები,

აცნობიერებს პოლიტიკური ბრძოლის იარაღად კულტურის _ სუბკულტურის, კონტრკულტუ-რის, პოპ-კულტურის, ე.წ. მასობრივი კულტურის როლს და მნიშვნელობას

კურსდამთავრებულს აქვს კულტურის ფილოსოფიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას ახალი იდეების შემუშავებისა და ცალკეული პრობლემის გადაჭრის საშუალებას მისცემს.

IIმოდულის

კურსდამთავრებულმა იცის:

პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარების ეტაპები სოკრატე-პლატონიდან დაწყებული დღემდე;

პოლიტიკური ფილოსოფიის დამფუძნებლების და "მამებად" წოდებული კლასიკოსების შრომები;

მოდერნის და პოსტმოდერნის და თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძვლები,

ძალაუფლების თანამედროვე ფილოსოფიური თეორიები;

პოლიტიკურის, თავისუფლების, სამარ თლიანობის, თანასწორობის, წერიგის არსი და აცნობიერებს თუ როგორ ხდება მათი რეალიზაცია.

მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა კვლევა;

პოლიტიკური იდეოლოგიების ფილოსოფიური საფუძვლები;

სამართლიანობა, როგორც პოლიტიკური ფილოსოფიის კატეგორია;

აშშ–ისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების თავისებურებები, მათი მსგავსება–განსხვავება, ფორმირებისა და განვითარების ისტორიულ–პოლიტიკური პირობები, გლობალური პოლიტიკური წესრიგის ევოლუცია;გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაციები;

აცნობიერებს პოლიტიკური მორალის ღრმა ფილოსოფიურ შრეებს;

კურსდამთავრებულს აქვს პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას ახალი იდეების შემუშავებისა და ცალკეული პრობლემის გადაჭრის საშუალებას მისცემს.

III მოდულის

კურსდამთავრებულმა იცის:

ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის ძირეულ პრობლემები, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფერო, მისი ძირითადი მიმართულებები, პრობლემატიკა და სააზროვნო ტრადიციები, ანტიკური, აღმოსავლური და თანამედროვე ეთიკური სკოლებისა და მიმართულებებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები,

კონცეპტები, ამოცანები და სტილისტიკა.თანამედროვე კულტურის პროცესების არსებით ტენდენციები და თანამედროვეობის ზნეობრივი დისკურსი. მორალური ყოფიერების განხორციელების პოსტმოდერნულ ტექნოლოგია, ზნეობის ფენომენის პოსტმოდერნული გააზრების თავისებურების ადგილი და როლი თანამედროვე ფილოსოფიურ აზროვნებაში. ზნეობის ფილოსოფიის კონცეპტები, გამოყენებითი ეთიკის ისტორიის საეტაპო კონცეპტები თანამედროვე ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის დისკურსის სივრცეში წარმოშობილი კოლიზიები და დილემები, მოვალეობის ეთიკის პარადიგმა, ზნეობის მეტაფიზიკის აგების კანტიანური ცდა. ქრისტიანული ეთიკის საგნობრივი ველი, ისეთი კომპლექსური საკითხები როგორიცაა: თემისა და ეკლესიის ურთიერთმიმართება, ტაძრულობის პრინციპი, ეცოდინება თუ რა წარმოადგენს ადამიანის ეთიკური პასუხისმგებლობის საფუძველს. თანასწორობის ცნება და მისი სახეების სიმრავლე, რას ნიშნავს საზოგადოების წევრად ყოფნა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა, ასოციაცა და სეგრეგაცია, სუვერენიტეტის ცნება და შეზღუდული ძალაუფლება, თავისუფლება და ადამიანის უფლებები,. ადამიანის უფლებათა კონვენციები, ადამიანის, მისი ღირსებისა და პიროვნული თვითღირებულების პრიორიტეტის საკითხები.რეპროდუქციული ტექნოლოგიების ეთიკური ასპექტები, იცის ევთანაზიისა და სუიციდის პრობლემების ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ხასიათი,პერსონული თავისუფლების და თვითმკვლელობის საკითხი, ადამიანის ორგანიზმის ტელეოლოგიური მიზანშეწონილობისა და დეტერმინაციის პრობლემები, ახალი სიცოცხლის შექმნისა და ცოცხლის გახანგრძლივების ეთიკური განზომილება, გენდერული ორიენტაციების სამართლებრივი და ეთიკურ ჭრილი, ეკოლოგიის ეთიკური პერსპექტივა;ცხოველთა უფლებები, ბიოცენტრიზმი, ეკოლოგია, ეკოფემინიზმი, ბიორეგიონალიზმი, სოციალური ეკოლოგია და უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება. ბიზნეს საქმიანობის ეთიკური და პოლიტიკური პრობლემები, ბიზნეს კულტურის, ბიზნეს ეთიკის და პოლიტიკურის მიმართების თეორიები. დამსაქმებელსა და დასაქმებულ ის მიმართების ეთიკური ასპექტები, სამართლიანი საზოგადოება და ბიზნესისა და პოლიტიკის როლი ამ ტიპის სახელმწიფოში.
საინფორმაციო სივრცეში ადამიანის მოღვაწეობის ეთიკური პრინციპები ,პრობლემები და დილემები, ფუნდამენტური უფლებები და მოვალეობები, რომლებსაც ფლობს ადამიანი ინფორმაციის მიღებასა და გაცემასთან მიმართებაში. ინფორმაციაზე ეთიკური კონტროლის ძირითადი ფორმები, მექანიზმები და მიმართულებები. განათლების ფილოსოფიის ძირითადი თემები და საკითხები, პედაგოგის ზნეობრივი პრინციპები, ნორმები და ქცევის წესები, პედაგოგიური მოღვაწეობის სპეციფიკა, პედაგოგის პასუხისმგებლობის პრობლემა, მორალური ღირებულებების სპეციფიკისა და ზნეობრივი პროცესის კანონზომიერები. პედაგოგიური საქმიანობის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური საფუძვლები. პედაგოგიური მოღვაწეობის სპეციფიკა, პედაგოგის ეთიკური კოდექსის პრინციპები, პედაგოგის პასუხისმგებლობის პრობლემა, თავისუფლებისა და მოვალეობის პრობლემის დილემური ხასიათი პედაგოგიურ საქმიანობაში, კურსდამთავრებულს აქვს ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას ახალი იდეების შემუშავებისა და ცალკეული პრობლემის გადაჭრის საშუალებას მისცემს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია

კომპლექსურად (სამივე მოდულიდან) პრობლემების გადაჭრის ორიგინალური გზების მოძიება.
კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; სტრატეგიული დაგეგმარება;
სინთეზური და ანალიტიკური, ჰერმენევტიკული და ფენომენოლოგიური მეთოდების საშუალებით კლასიკური და პოსტმოდერნული პარადიგმებს შორის არსებული საპირისპირო (წინაღმდეგობრივი) საფუძვლების დამოუკიდებელი კვლევა,
ფილოსოფიის უახლესი კვლევის ტაქტიკების გამოყენებით დარგების მრავალფეროვნების, მათი უნიკალობის და თვითღირებულების ანალიზი

საქართველოს მულტიკულტურულ რეალიაში წარმოშობილი კულტუროლოგიური, პოლიტიკური-ეთიკურ–ზნეობრივი გამოწვევების, პრობლემების და დილემების ანალიზი და მათ გადაწყვეტაზე ორიენტირებული ქმედებები.

მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთი ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო სფეროში დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და დამუშავება, ფლობს ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენის (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადების უნარს შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

I მოდულის
კურსდამთავრებულს შეუძლია

კულტუროლოგიურ სივრცეში არსებული დილემებისა და პრობლემების გადაჭრა,
კულტურის ფილოსოფიის კვლევის ტაქტიკების გამოყენება თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოების ანალიზისას,
მხატვრულ-ესთეტიკური ექსპერტიზა.
კულტურის პოლიტიკის პროექტირება და ორგანიზება.
კლასიკოსების აზრების, დებულებების და კონცეფციების პროფესიულ დონეზე სპეციალიზებულ კონტექსტში გამოყენება.
არტეფაქტის გაგება, განმარტება, ინტერპრეტირება
კომპარატივისტული ანალიზი და მათ გადაწყვეტაზე ორიენტირებული ქმედება.

II მოდულის
კურსდამთავრებულს შეუძლია

პოლიტიკური ფილოსოფიის კვლევის ტაქტიკების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში.
დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე კლასიკოსებისა და თანამედროვე პოლიტიკის ფილოსოფიის სფეროში არსებული შრომების კრიტიკული ანალიზი და სპეციალიზებულ კონტექსტში გამოყენება;
თანამედროვე სამყაროში არსებული გლობალიზაცის პროცესისა და იდენტობის ანალიზი, ჰერმენევტიკული, ფენომენოლოგიური, სინთეზური და ანალიტიკური მეთოდების გამოყენება;

სხვადასხვა პოლიტიკურ კონცეფციათა კომპარატივისტული ანალიზი
დამოუკიდებლად, ორიგინალური გზით გადაჭრას პოლიტიკური ფილოსოფიის კომპლექსური პრობლემები და დილემები და მათ გადაწყვეტაზე ორიენტირებული ქმედება.

III მოდულის
კურსდამთავრებულს შეუძლია

ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის კვლევის ტაქტიკების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში;
სტრატეგიული დაგეგმარება;
კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
ჰერმენევტიკული, ფენომენოლოგიური, სინთეზური და ანალიტიკური მეთოდების გამოყენება;
საქართველოს მულტიკულტურულ რეალიაში წარმოშობილი ეთიკურ–ზნეობრივი გამოწვევების, პრობლემების და დილემების ანალიზი და მათ გადაწყვეტაზე ორიენტირებული ქმედებები.

დასკვნის უნარი
კურსდამთავრებულს აქვს უნარი:

- სტრატეგიული ანალიზის;
- კულტურისა და პოლიტიკური ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის კრიტერიუმების იდენტიფიცირების;
- კულტურისა და პოლიტიკური ფილოსოფიის, გამოყენებითი ეთიკის ველზე არსებული მაგალითებისა და ზნეობის ფილოსოფიის გამოცდილების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნისა და გადაწყვეტილების მიღების;
- ლოკალური, რეგიონული და გლობალური კონტექსტის გააზრების, კრიტიკული ანალიზის და შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების;
- კულტურისა და პოლიტიკური ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროში დილემების, საფრთხეების, ძლიერი და და სუსტი მხარეების შეფასების;
- კულტურისა და პოლიტიკური ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის;

კომუნიკაციის უნარი
კურსდამთავრებულს აქვს უნარი:

- ჩაერთოს დისკუსიაში, კულტურის ფილოსოფიის, პოლიტიკისა და ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით,
- აუდიტორიის კითხვებზე მკაფიოდ დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხის გაცემის;
- საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით;

- ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის;
- სწავლისა და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენების უნარი;

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს უნარი:

- როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების;
- სხვადასხვა ტიპის (მათ შორის სამეცნიერო) ტექსტების გაგების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის;
- სწავლის პროცესის სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვის;
- ინტეგრირების, მეცნიერებათშორის ზღვრული სიტუაციების ე.წ. ინტერდისციპლინარული კვლევების
- დროის ზუსტად დაგეგმვისა და მართვის;
- კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების და მონაცემთა ბაზის შექმნის და ანალიზის უნარი.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს აქვს:

- პატიოსნებისა და ღირსების გრძნობა,
- დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი;
- პატრიოტული სულისკვეთება,
- თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;
- უცხო ფენომენის მიმართ შემწყნარებლობა, ტოლერანტობა განსხვავებული პოზიციის მიმართ.
- დოგმატიზმის, ფანატიზმის, სწორხაზოვანი აზროვნების შეზღუდულობის უარყოფის უნარი
- საკითხის პლურალისტური განხილვის საჭიროების უნარ-ჩვევები.
- ზოგადსაკაცობრიო და მულტიკულტურული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი.
- პროფესიული ეთიკის ცოდნა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებისა და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი მდგომარეობის გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, და სხვ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
პროგრამის მსმენელთა ცოდნის შეფასება მოხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად. პროგრამის მსმენელთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო, მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; დ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; ე) სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (რეფერატი, ესე, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; ვ) სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომის დაცვას.
მსმენელის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. მსმენელის შეფასების სისტემა მოიცავს არანაკლებ სამ კომპონენტს (მათგან 3 კომპონენტის – დასწრება, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური შეფასება სავალდებულოა).
სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი, ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.
უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F.
მსმენელთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით , მოდულითა და სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან.

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები:
კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკის, ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად. შეუძლიათ დასაქმდნენ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო კულტურულ-სოციალურ დაწესებულებაში, მეცნიერული მუშაობა გააგრძელონ კვლევით ინსტიტუტებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: პროგრამის კურსდამთავრებულებს სწავლის გაგრძელება შეუძლიათ დოქტორანტურაში, სოციალური, პოლიტიკური და კულტურის მეცნიერებების, ასევე მომიჯნავე მიმართულების/დარგის სადოქტორო პროგრამებზე როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი I.

სილაბუსები: იხ. დანართი

პროგრამის ხელმძღვანელი:
1. აკაკი ყულიჯანაშვილი, სრული პროფესორი. 2. დემური ჯალაღონია, ასოც. პროფესორი.
3. ანასტასია ზაქარიაძე, ასოც. პროფესორი.

პროგრამის კოორდინატორი: ანასტასია ზაქარიაძე, ასოც. პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

დამატებითი ინფორმაცია
მაგისტრანტს შეეძლება აირჩიოს სამეცნიერო თემა კულტურის ფილოსოფიის, პოლიტიკის ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის პრობლემატიკიდან. კულტურის სხვადასხვა დარგებთან მათი ურთიერთმიმართების თემატიკიდან.

სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები: ნაშრომი უნდა მოიცავდეს პრობლემის ფილოსოფიურ ანალიზს. მასში უნდა ჩანდეს წყაროების საფუძვლიანი ცოდნა და მათზე მსჯელობის უნარი. მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა შეეძლება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტში.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:
1. ყულიჯანაშვილი აკაკი, სრული პროფესორი, ფილოსო ფიის დოქტორი. 2. ჯალაღონია დემური, ასოც. პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 3. ზაქარიაძე ანასტასია, ასოც. პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 4. ალექსიძე ლელა, სრული პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 5. ბარამიძე გიორგი, სრული პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 6. კაციტაძე კახა, სრული პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 7. რამიშვილი ვალერიანი, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 8. ბრაჭული ირაკლი, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 9. გორდეზიანი რეზო, ასოც. პროფ. ფილოსოფიის დოქტორი. 10. ბიჭაშვილი მამუკა, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 11. გულიაშვილი ნანა, ასისტენტ პროფ. ფილოსოფიის დოქტორი. 12. კვარაცხელია ნაპო, მოწვეული პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 13. ქერქაძე მაია, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 14. გულიაშვილი დალი, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 15. მჭედლიშვილი ლერი, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 15. წურწუმია ლია, მოწვეული პროფესორი, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 17. შუშანაშვილი გერონტი მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით, № 3)

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ
სამაგისტრო პროგრამა (მოდულები) განხორციელდება თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტში. პროგრამის განხორციელებაში ძირითადად დაკავდებიან ფილოსოფიის მიმართულების პროფესორები. მაგრამ მოდულთა სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოწვეულნი იქნებიან 2–3 პროფესორი.

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია კომპიუტერით და ინტერნეტით, შესაბამისი ლიტერატურა სტუდენტებს შეუძლიათ მოიძიონ ფილოსოფიის ინსტიტუტის შალვა ნუცუბიძის სახელობის ბიბლიოთეკაში. ამავდროულად საგნის ლექტორები მაგისტრანტებს უზრუნველყოფენ საჭირო ლიტერატურით. მაგისტრანტები ისარგებლებენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკით; საჭიროების შემთხვევაში ასევე შეეძლებათ ისარგებლონ სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკით, თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკით.

სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებისა, თუ კერძო კოლექციების ბაზაზე.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.